# სპორტი ერთგული მეგობარია

**საქართველოს წარმომადგენლები ბამ-ის მშენებლობაზე**

საბჭოთა ადამიანთა სურვილით ციმბირის თვალუწვდენელი ველები ბაიკალის ტბის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით ერთ უზარმაზარ სამშენებლო მოედნად იქცა. აქ შენდება ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალი, რომლის სიგრძე 3200-მდე კილომეტრია. ამ საუკუნის მაგისტრალის გაყვანაში მთელი ქვეყანა მონაწილეობს. იგი დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად არის გამოცხადებული. ამ საყოველთაო საქმეში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ახალგაზრდობასაც. ციმბირის მკაცრი ჰავა (ზამთარში ბამ-ის ტრასაზე ყინვა 50 გრადუსს აღწევს, ზაფხულში 40 გრადუსამდე სიცხე იცის) დიდ სიძნელეებს უქმნის მშენებლებს. აქ წარმატებით შრომა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურად კარგად ნაწრთობ ადამიანებს, მხოლოდ მას, ვინც სპორტის მეგობარია.

ახლახან ბამ-ის ტრასაზე, კერძოდ დაბა ზვიოზდნიში, სადაც საქართველოს წარმომადგენლები მუშაობენ, იმოგზაურა თბილისელმა ჟურნალისტმა, სპორტის ოსტატმა ბ. კამენსკიმ. დღეს გთავაზობთ მის რეპორტაჟს.



ზვიოზდნიში უსტ-კუტიდან ჩავედი. ყინვა 25 გრადუსი იყო, მაგრამ მუშაობა ბამ-ის მომავალი სადგურის ტაურის ყველა ობიექტზე მთელი ძალით იყო გაჩაღებული. მე, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა საქართველოს წარგზავნილთა ნახვა მაინტერესებდა. მსურდა მენახა, როგორ მუშაობენ, როგორ ისვენებენ. გავიცანი საქართველოს ბრიგადის წევრები. ჩემს წინ არიან მხიარული, ენერგიული ახალგაზრდები: ვაჟა შენგელია, მერაბ დარგუაშვილი, ელგუჯა ქიტოშვილი, ნოდარ გოგულაშვილი, ნატაშა ტიტიაევა, იური ლაზარენკო, ჟორა გუგაევი, ოთარ ჯალიაშვილი. გამაცნეს ინჟინრებიც — შოთა კაკუშაძე და ანზორ ლილუაშვილი, აგრეთვე, ბრიგადის სხვა წევრები — ერევნელები აკოფ ოჰანესიანი, ალბერტ სააკიანი, ორჯონიკიძელი თეიმურაზ აბაევი, კიეველი სტანისლავ ზალეშჩუკი, კლაიპედელი მეზღვაური გრიგოლ დიუბოვი და სხვები.

ქურთუკებსა და დაბამბულ შარვლებში გამოწყობილ ახალგაზრდებს მაინც ეტყობოდათ, რომ ყველა ფიზიკურად ძლიერი, ნაწრთობი, ნებისმიერი სამუშაოს დამძლევი იყო. იმ დღეს თბოტრასაზე მუშაობდნენ. ზუსტად, მწყობრად აკეთებდნენ საქმეს, ყინვას თითქოს სულ არაფრად აგდებდნენ.

საღამოს მთელმა ბრიგადამ საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთ ოთახში მოიყარა თავი. ახალგაზრდებმა სეტყვასავით დამაყარეს შეკითხვები. მეკითხებოდნენ თბილისზე, სპორტის ახალ ამბებზე, თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა პირველ თამაშებზე. მე კი, რასაკვირველია, მაინტერესებდა მათი ცხოვრება და მუშაობა იქ, შორეულ ციმბირში. აი, რას ამბობს ვაჟა შენგელია:

„ბამ-ზე ჩვენი პატარა ჯგუფი 1974 წლის მაისის დამლევს ჩამოვიდა პირდაპირ კომკავშირის XVII ყრილობიდან. შვეულმფრენით გადაგვიყვანეს 25 კილომეტრის დაშორებით, სადაც ტაიგაში ტყე უნდა გაგვეკაფა. კარვებში ვცხოვრობდით. მაშინ ჩვენი ბრიგადირი იყო სოხუმელი ზურაბ ყალიჩავა. მოტოხერხი „დრუჟბა" ყველამ პირველად ვნახეთ, მაგრამ მაინც სწრაფად შევეჩვიეთ საქმეს. მაგალითს ზურაბი გვაძლევდა. გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ ხუთი კაცის საქმეს აკეთებდა. ჩვენც ვცდილობდით არაფერში ჩამოვრჩენოდით. ერთი სიტყვით, ორი თვის დავალება 18 დღეში შევასრულეთ და გეგმასაც დიდად გადავაჭარბეთ. სულ მალე მოვიპოვეთ ლიდერობა 40 კომკავშირული ბრიგადის შეჯიბრებაში და პირველობა ოთხი თვის მანძილზე არ დაგვითმია. ასე ვმუშაობდით: საღამოს ხელები გვტეხდა, ზურგი გვტკიოდა, დაქანცულები ვიყავით, მაგრამ საყვედური არავის დასცდენია. ღამით კარგად გამოვიძინებდით და დილით ისევ სამუშაოდ მივეშურებოდით. რა თქმა უნდა, ასეთი დაძაბული შრომის ასატანად კარგი ფიზიკური მომზადებაა საჭირო. ჩვენ ბავშვობიდანვე სპორტს მივდევთ. ყველას გავლილი გვაქვს არმიაში სამსახური, სადაც ფიზიკურ წრთობას დიდი ყურადღება ეთმობა. ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ტაიგაში სპორტული ბაზები არა გვაქვს, თავს არ ვანებებთ ფიზიკურ ვარჯიშს, კროსებს, თხილამურებით სრიალს. ჩვენი ბრიგადიდან ბევრი კარგი სპორტსმენია. დავასახელოთ მაგალითად, ნოდარ გოგულაშვილი. იგი სპორტის ოსტატობის კანდიდატია კრივში, 1968 წელს საქართველოს ჩემპიონი იყო იუნიორთა შორის. რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრია. არმიაში სამსახურის დროს ნოდარმა გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის პირველობაში II ადგილი დაიკავა. იგი დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსზე. გრიგოლ დიუბოვი ლატვიის ჩემპიონია ჭიდაობაში, სტანისლავ ზალეშჩუკი ფეხბურთელია. ერთი სიტყვით, ფიზკულტურა და სპორტი ძალიან გვიყვარს. მალე მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას დავიწყებთ".

ზვიოზდნიში დიდხანს არ დავრჩენილვარ — სულ ორი დღე გავატარე იქ. გავეცანი საუცხოო ახალგაზრდებს, რომლებიც ბამელთა ძმურ ოჯახში აშენებენ საუკუნის გიგანტს. ისინი ნათლად ხედავენ მიზანს. თავგანწირვით შრომობენ, დიდ პატრიოტულ საქმეს აკეთებენ. ეს ახალგაზრდები საქართველოს მუშათა კლასისა და კომკავშირის ღირსეული წარმომადგენლები არიან.

გეგმით ბამ-ის მშენებლობა რვა წელიწადს უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ბამელებმა ვალდებულება იკისრეს, რომ იგი დადგენილ ვადამდე დაამთავრონ. ეს პირობა უთუოდ შესრულდება. როცა პირველი ელექტრომავლები დაარღვევენ ტაიგის მდუმარებას, ამაში საქართველოს წარგზავნილთა წვლილიც იქნება.

ბ. კამენსკი,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათებზე: თბოტრასის მშენებლობაზე (მარცხნიდან — მ. დარგუაშვილი, ა. ოჰანესიანი, თ. აბაევი); სპორტის ოსტატობის კანდიდატი კრივში, გურჯაანელი ნ. გოგულაშვილი; ფეხბურთი თოვლზე.

ავტორის ფოტოები.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 260 (5290)

1974 წ. 31 დეკემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

# თბილისის „დინამომ" ლიდერიც დაამარცხა

## ანუ დაუსწრებელი პოლემიკა სკეპტიკოსებთან



დღემდე კალათბურთის ბევრ სპეციალისტს ეჭვი შეჰქონდა თბილისის „დინამოს" შესაძლებლობებში და მის მაღალ სატურნირო მდგომარეობას რაღაც გაუგებარი, თითიდან გამოწოვილი მიზეზებით ხსნიდა. პირველად ამ სკეპტიკოსებს რწმენა მაშინ შეერყათ, როცა დინამოელებმა ორი მატჩი მოუგეს სვერდლოვსკში „ურალმაშს".

მაგრამ იქვე მოიძებნა გამართლება, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერდა: „ურალმაში" წლეულს ერთობ სუსტად თამაშობს და სხვა ფავორიტებმა იგი გაცილებით დამაჯერებლად დაამარცხესო (რატომღაც მხედველობაში გამორჩათ ლენინგრადის „სპარტაკი", რომელმაც პირველი მატჩი „ურალმაშს" მხოლოდ 5 ქულით მოუგო).

იყო სხვა მოსაზრებებიც, რომელთა მიხედვით თბილისის „დინამოს" წლევანდელი წარმატება რატომღაც ეჭვის ქვეშ უნდა დაგვეყენებინა. ამ მოსაზრებებში მთავარი გახლდათ ის, რომ „დინამომ" ქულებს უმთავრესად შინ დააგროვა, შედარებით სუსტ მეტოქეებთან შეხვედრებში. გასაკვირია ერთი რამ: როცა ჭერი მიდგება ხოლმე 42-ე ჩემპიონატის ზოგად შეფასებაზე, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ უმაღლეს ლიგაში სუსტი და ძლიერი გუნდები აღარ არსებობსო, ხოლო, როცა თბილისელთა მიერ დაგროვილ ქულებს უსინჯავენ კბილს, ირკვევა, რომ ზოგიერთი მათგანი ჭიანია (ანუ სუსტ გუნდებთან არის მოპოვებული და ამიტომაც ნაკლები ფასი აქვს).

მეორე დარტყმა სკეპტიკოსებმა ამ ორიოდე დღის წინათ მიიღეს „კალევთან" შეხვედრის შემდეგ. მკითხველებმა კარგად იციან, რომ თბილისელებმა პირველი მატჩი


(დასასრული მე-4 გვ.).


# მიხაილოვსკაია მსოფლიოს პირველი ჩემპიონია

ამსტერდამში მიიწურა შაშის ფესტივალი. საერთაშორისო შაშში ქალთა I მსოფლიო ჩემპიონატში ბოლო ტურის წინ ჩემპიონის სახელი მოიპოვა მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტმა ე. მიხაილოვსკაიამ. იმ დღეს მან სძლია ჰოლანდიელ მოშაშეს და 7,5 ქულა (9-დან) მოაგროვა. დასკვნითს, X ტურში ჰოლანდიელ ბ. გრასთან შეხვედრის შედეგის მიუხედავად იგი მეტოქეთათვის მიუწვდომელია.

ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში I ადგილის სერიოზული პრეტენდენტია ვილნიუსელი ე. ბუეანსკი — 6 ქულა. მას ერთი პარტია დარჩა სათამაშო.

დიდოსტატთა საახალწლო ტურნირში წყვილად ლიდერობენ ჰოლანდიელი ხ. ვირსმა და კიეველი ი. კუპერმანი. ტურნირის დამთავრებას ორი ტური აკლია.

# არმიელ მთამსვლელთა წარმატება

დამთავრდა საბჭოთა მთამსვლელთა წლევანდელი სეზონი. ამ საახალწლო დღეებში შეჯამდა მათი მიღწევები სხვადასხვა შეჯიბრებაში. და აი, მოსკოვიდან სასიამოვნო ცნობა მივიღეთ: ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მთამსვლელებს, რომლებსაც გ. ზუმბაძე ხელმძღვანელობდა, ოქროს მედლები ხვდათ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატში. ზუმბაძესთან ერთად ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი რ. გიუტაშვილმა, ვ. სარქისოვმა, გ. სტარჩიკმა, ა. ბაროვსკიმ და გ. ვარდანიანმა. მათ მთავარ კავკასიონის ქედზე შურავსკის პიკი დაიპყრეს.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მთამსვლელთა მეორე ჯგუფმა ფ. შაპოვალოვის მეთაურობით მწვერვალ კიუკიურტლოს დაპყრობისთვის ბრინჯაოს მედლები მიიღო. ამ ჯგუფში შედიოდნენ, აგრეთვე, ი. გელდიაშვილი, ა. ხერგიანი და ვ. ლაბიგინი.

ა. კოტრიკაძე.

# 69-ე რეკორდი

კარგი საახალწლო საჩუქარი მოუმზადა სპორტის გულშემატკივრებს შესანიშნავმა შახტელმა ძალოსანმა ვ. ალექსეევმა. სულ რაღაც ათიოდე დღის წინათ ზაპოროჟიეში გამართულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვრაში. და აი, გუშინწინ ალექსეევმა კვლავ შეუტია თავისივე მიღწევას აკვრაში და კვლავ წარმატება მოიპოვა. ეს მოხდა ლიპეცკში, სადაც ჩატარდა საბჭოთა ძალოსნობის ერთ-ერთი ფუძემდებლის ი. სპარეს მემორიალი. სპარე სსრ კავშირის რეკორდსმენი და ჩემპიონი იყო 1924-26 და 1932 წლებში. ამ შეჯიბრებაში ალექსეევმა 243,5 კგ აჰკრა და ნახევარი კილოგრამი დაუმატა მსოფლიო რეკორდს. ეს ალექსეევის 69-ე შესწორებაა მსოფლიოს რეკორდების ცხრილში.



# არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს

საქართველოში მძლეოსნობის განვითარების დონე საკავშირო დონის ზრდას რომ ვერ მიჰყვება, ეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს. მართალია, სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში ორიოდე წარმომადგენელი კიდევ გვყავს, მაგრამ ისინი საბჭოთა კავშირის სპარტაკიადაში ამინდს ვერ შექმნიან.

რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის" ჩამორჩენის მიზეზებზე ბევრჯერ დაიწერა. ითქვა, რომ სპორტული ბაზები არ კმარა, ისეთი ბაზა კი, სადაც საკავშირო ჩემპიონატის, ან საერთაშორისო ასპარეზობის გამართვა მოხერხდეს, ერთიც არა გვაქვს.

იმის შესახებაც ბევრჯერ უმსჯელიათ, რომ აჭარაში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, რუსთავში და თვით თბილისშიც კი ნიჭიერი, პერსპექტიული მძლეოსნების გამოვლენისა და აღზრდისთვის სპეციალისტები უწინდებურად აღარ მუშაობენ, სავალალო მდგომარეობას გულხელდაკრეფილნი უსცქერიან, უპერსპექტივო სპორტსმენებთან დროს უქმად კარგავენ და საკმაოდ მაღალ ხელფასსაც იღებენ.

მდგომარეობის გამოსწორებისთვის ღონისძიებანიც დაისახა, რამდენიმე მწვრთნელი დაისაჯა კიდეც, მაგრამ, ვინაიდან მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებისთვის თავს აღარავინ იწუხებდა, იმის გამო, რომ დამნაშავენი, ფუჭად მომუშავე მწვრთნელები პროტექტორთა და მფარველთა ზრუნვით ადგილებს ინარჩუნებდნენ, ერთი შეხედვით საქმიანი გადაწყვეტილებანი გადაწყვეტილებებად რჩებოდა.

ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ რესპუბლიკაში არა მარტო მძლეოსნობაში მოვეცადინეთა რაოდენობამ იკლო, არამედ მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა რიცხვმაც. თუ 1972 წელს მძლეოსნობაში რესპუბლიკაში 8 სპორტის ოსტატი მომზადდა, 1973 წელს ეს ციფრი სამამდე შემცირდა, 1974 წელს კი სპორტის ოსტატთა რიგებს ერთი კაციც არ შემატებია.

თუ 1972 წელს სსრ კავშირის 10-10 უძლიერესი მძლეოსნის სიაში საქართველოს 6 სპორტსმენი (4 ვაჟი და 2 ქალი) მაინც იყო, 1973 წლის შედეგების მიხედვით ამ სიაში ჩვენი მხოლოდ 4 ვაჟი დარჩა. 1972 წელს ორმა მძლეოსანმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ბოლო ორი წლის მანძილზე კი მათ აღარავინ შემატებია.

ანალოგიური მდგომარეობაა მოზარდთა მძლეოსნობაშიც. მართალია, საქართველოს ნაკრებმა 1972 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში III გუნდური ადგილი დაისაკუთრა, მაგრამ 1974 წელს საგრძნობლად დავიხიეთ უკან.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებაშიც საიმედო ბევრი არაფერი გვაქვს. V სპარტაკიადაში ნაკრების 29 წევრიდან 12 ქალი იყო. კოლექტივი საერთო IX ადგილზე გავიდა. VI სპარტაკიადისთვის 28 სპორტსმენის შერჩევა მოხერხდა, რომელთა შორის, სამწუხაროდ, მხოლოდ ორი ქალია — მ. ალიაკრინსკაია და ლ. ტუღუში.

მძლეოსნობაში 250 ხელფასით მომუშავე მწვრთნელი გვყავს, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობის კვალიფიკაცია დღევანდელ მოთხოვნებს საგრძნობლად ჩამორჩება. თუ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა მაჩვენებლებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 56 ათასზე მეტი მოზარდიდან, რომლებსაც ნორმატივები ჩაუბარებიათ, უმეტესობას 100 მეტრი 14-16 წამში გაურბენია. ეს რომ სიყალბე, მიწერების შედეგი არ იყოს, რატომ ვერ აღზარდეს მათგან ვერც ერთი მძლეოსანი?

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას წინათ სპეციალური ინსპექტორები აკონტროლებდნენ. ეს თანამდებობა ახლაც უნდა შემოვიღოთ. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაზე მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს, რომ მოზარდთა მომზადების ნამდვილი სურათი ვნახოთ, ნიჭიერი მოსწავლეები გამოვავლინოთ და მათი რიგებიდან მძლეოსანთა ჯგუფები შევავსოთ.

ყველა ესა და სხვა უამრავი ნაკლი არ იქნებოდა, მძლეოსნობის რესპუბლიკურ ფედერაციას ხეირიანად რომ ემუშავა, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამის განყოფილებას მხარში ამოსდგომოდა, გადაჭრით ებრძოლა სიყალბესთან, მიწერებთან, უქნარა მწვრთნელები და სპორტსაზოგადოებები, რომლებიც „სპორტის დედოფლის" განვითარებისთვის არაფერს აკეთებენ, ემხილებინა, მკაცრად გაელაშქრა პროტექციონიზმის, მააძებლობის წინააღმდეგ, არ დაეშვა ისეთი ფაქტები, როცა რესპუბლიკური სპორტკომიტეტი წოდებებს დაუმსახურებლად არიგებდა. გავიხსენოთ, მაგალითად, რომ ვინმე კურჩენკოსა და ბანის, რომელთაც საქართველოს მძლეოსნობის განვითარებისთვის არაფერი გაუკეთებიათ, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭეს, ხოლო ღირსეულთა (მაგალითად, სამტრედიელი ვაშაკიძისა) ამგვარი წახალისების საქმეს გაუთავებლად აჭიანურებდნენ.

ყველაფერი ეს ითქვა და სხვა საგანგაშო ფაქტებიც აღინიშნა ამ დღეებში გამართულ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პლენუმზე, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარე ვ. სამსონაძე.

ინფორმაციებით გამოვიდნენ მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. მალიშკოვი და საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ო. ლაკერბაი.

კამათში მონაწილეობდნენ: თ. როჟმანოვა („შრომითი რეზერვები"), ე. ალიშანოვი (ქუთაისი), ო. ხერხეულიძე („კოლმეურნე"), ა. შჩერბინა (მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა), ზ. ჯარაშნელი (თბილისის სპორტკომიტეტი), ნ. დუმბაძე (უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლა), ჯ. ფხაკაძე (ურისმტყორცნელი), ა. ამჯრეკი (თბილისი).

კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ, აგრეთვე, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრების მზადების ხელშემშლელ მიზეზებზე, გუნდის წარმომადგენლობაში სპორტსაზოგადოებების წვლილზე. ითქვა, რომ ნაკრების 28 კანდიდატიდან 11 დინამოელია, 5 — „ბურევესტნიკის" წევრი. ნაკრებში „კოლმეურნიდან" 4 მძლეოსანი შედის, „განთიადიდან" — ერთი... თუ გავითვალისწინებთ, რომ სპარტაკიადაში საასპარეზოდ მხოლოდ ოსტატები დაიშვებიან, ამ 28 კაციდან კი წლეულს სპორტის ოსტატის ნორმატივი მხოლოდ 9 მძლეოსანმა შეასრულა, დავინახავთ, რა სავალალო სურათია გუნდში.

აღინიშნა, რომ აჭარასა და აფხაზეთში მძლეოსნობის ფედერაციები არ არსებობს, რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმსაც არავინ დასწრებია, უმაღლეს სასწავლებლებში „სპორტის დედოფალი" მივიწყებულია და ფიზკულტურის კათედრები მხოლოდ ყალბ ციფრებს ეფარებიან. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოს ერთი ცენტრალური სექციაც არა აქვს. ითქვა, თითქოს „დინამოს" სტადიონის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ყოფილი სათადარიგო მინდვრის ავტომანქანების სადგომად გადაკეთება დაეგეგმოთ, სათადარიგო მინდვრის გარეშე კი ამ სტადიონზე რაიმე სერიოზული ტურნირის ჩატარება შეუძლებელი იქნება. ერთი სიტყვით, პლენუმმა ბევრი საჭირბოროტო საკითხი დააყენა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტული სამმართველოს უფროსი ვ. ჯაიანი.

განვლილ პერიოდში საქართველოს ფედერაციის მიერ გაწეული მუშაობა პლენუმმა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

მოეწყო ფედერაციის პრეზიდიუმის არჩევნები. ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. დუმბაძე, მოადგილედ — ლ. გიორგაძე, პასუხისმგებელ მდივნად — ა. ბედუკაძე.

შეიქმნა მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი (თავმჯდომარეობა კ. მალიშკოვს დაევალა) და მწვრთნელთა საბჭო (თავმჯდომარე ბ. დიაჩკოვი).

## ცურვა

# საქართველოს რეკორდები

მდგომარეობა 1974 წლის 31 დეკემბრისთვის

### 50-მეტრიანი აუზისთვის

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| **ქალიშვილები** | | | |
| თავისუფალი სტილი | | | |
| 50 მ | 28,8 | ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი") | 1972 |
| 100 მ | 1.03,2 | ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი") | 1974 |
| 200 მ | 2.19,3 | ი. პოტაპოვა (თბილისი, „დინამო") | 1974 |
| 400 მ | 4.46,2 | ი. პოტაპოვა (თბილისი, „დინამო") | 1974 |
| 800 მ | 9.47,0 | ი. პოტაპოვა (თბილისი, „დინამო") | 1974 |
| 1500 მ | 21.40,0 | საწყისი ნორმატივი | |
| ესტაფეტა | | | |
| 4×100 მ | 4.24,8 | საქართველოს ნაკრები (გ. მეტრეველი, ნ. გელაძე, ი. პოტაპოვა, ლ. სუინა) | 1974 |
| ბრასი | | | |
| 50 მ | 39,0 | მ. კირდიანოვა (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| 100 მ | 1.21,9 | მ. კირდიანოვა (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| 200 მ | 2.52,0 | მ. კირდიანოვა (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| ბულაღმა | | | |
| 50 მ | 32,2 | თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო") | 1968 |
| 100 მ | 1.07,8 | თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო") | 1970 |
| 200 მ | 2.27,1 | თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო") | 1970 |
| ბატერფლაი | | | |
| 50 მ | 35,2 | ვ. პროსკურინა (თბ., „განთიადი") | 1971 |
| 100 მ | 1.10,6 | ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი") | 1974 |
| 200 მ | 2.41,0 | ვ. პროსკურინა (თბ., „განთიადი") | 1973 |
| კომპლექსური | | | |
| 200 მ | 2.33,4 | ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი") | 1974 |
| 400 მ | 5.35,7 | ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი") | 1974 |
| კომბინირებული ესტაფეტა | | | |
| 4×100 მ | 4.53,2 | საქართველოს ნაკრები (შ. გოზალიანი, ვ. პროსკურინა, ნ. გამჯიაშვილი, ლ. სუინა) | 1974 |
| **ჭაბუკები** | | | |
| თავისუფალი სტილი | | | |
| 50 მ | 25,9 | ი. ტიშკინი (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| 100 მ | 56,9 | ვ. გონჩაროვი (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| 200 მ | 2.03,7 | ა. ბავინი (გაგრა, „განთიადი") | 1972 |
| 400 მ | 4.19,1 | ი. კუშპელიოვი (თბილისი, „დინამო") | 1974 |
| 800 მ | 9.16,0 | ვ. მაკაროვი (თბილისი, „დინამო") | 1972 |
| 1500 მ | 17.07,3 | ი. კუშპელიოვი (თბილისი, „დინამო") | 1974 |
| ესტაფეტა | | | |
| 4×100 მ | 3.55,8 | საქართველოს ნაკრები (გ. გოდერძიშვილი, ს. მაკაროვი, ა. ვეჩხაიზერი, ა. ბავინი) | 1973 |
| 4×200 მ | 8.29,5 | საქართველოს ნაკრები (ს. მაკაროვი, ა. ვეჩხაიზერი, გ. გოდერძიშვილი, ა. ბავინი) | 1973 |
| ბრასი | | | |
| 50 მ | 33,3 | ი. კირდიანოვი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| 100 მ | 1.10,3 | ა. იევლევი (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| 200 მ | 2.32,5 | ა. იევლევი (თბილისი, „დინამო") | 1971 |
| ბულაღმა | | | |
| 50 მ | 30,6 | ვ. კრასკო (ბათუმი, „დინამო") | 1970 |
| 100 მ | 1.01,5 | ვ. კრასკო (ბათუმი, „დინამო") | 1970 |
| 200 მ | 2.11,8 | ვ. კრასკო (ბათუმი, „დინამო") | 1972 |
| ბატერფლაი | | | |
| 50 მ | 29,0 | ა. ბუკაშკინი (ბათუმი, „განთიადი") | 1971 |
| 100 მ | 1.01,5 | ა. ბუკაშკინი (ბათუმი, „განთიადი") | 1971 |
| 200 მ | 2.16,3 | გ. გოდერძიშვილი (თბ., „განთიადი") | 1973 |
| კომპლექსური | | | |
| 200 მ | 2.20,4 | ვ. სტეპანცევი (ბათუმი, „განთიადი") | 1973 |
| 400 მ | 4.53,2 | ვ. სტეპანცევი (ბათუმი, „განთიადი") | 1974 |
| კომბინირებული ესტაფეტა | | | |
| 4×100 მ | 4.20,5 | „განთიადის" ნაკრები (ა. ვეჩხაიზერი, ი. ლეკვეიშვილი, გ. ნიკოლაიშვილი, ა. გიორგაძე) | 1974 |



**განთიადელი** გოგონა ლ. სუინა საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავე გახლავთ. საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მესვეურები, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. ეს იმედი კიდევ უფრო განმტკიცდა კიევში გამართულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. როგორც ვიუწყებოდით, სუინამ იქ ყველაზე მეტად 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამოიჩინა თავი, სადაც III ადგილი დაიკავა (1.10,9). 50, 100, 200 და 400 მეტრზე გულაღმა ცურვის ჯამში იგი V ადგილზე აღმოჩნდა.

• • •

სურათზე: ლ. სუინა.

ა. გურასაშვილის ფოტო.

# ეს ერთი და სხვა მრავალი...

პირველი საბჭოთა სპორტული პლაკატის გამოცემის დღიდან, რომლითაც სპორტი სამუდამოდ დაუკავშირდა სახვითი ხელოვნების ისეთ პოპულარულ დარგს, როგორიცაა ფერწერა, 55 წელიწადზე მეტი გავიდა. „ვსევობუჩის" დაკვეთით დამზადებული პირველი პლაკატის შემდეგ ფუნჯის ოსტატებმა ასობით და ათასობით შესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს. სპორტისა და ხელოვნების ურთიერთკავშირის ამსახველი გამოფენები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისა და ოლიმპიური თამაშების შემადგენელი ნაწილი გახდა.

სპორტულ თემაზე შექმნილი პირველი ქართული პლაკატის ისტორიაც ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის, მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობს: ჩვენი მხატვრები დიდ ვალში არიან სპორტის მოყვარულთა წინაშე. რატომღაც თითქმის იშვიათობად იქცა ორიგინალობით გამორჩეული და მაღალი გემოვნებით შესრულებული ქართული პლაკატი. არადა, ასეთი პლაკატების საჭიროება, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება. ქართულ პლაკატს ასე დანატრებული რომ ვართ, მისი გამოჩენა დიდ სიხარულთან ერთად ალბათ ამიტომაც იწვევს „ყინულის დაძვრის" დიდ იმედსაც. ამიტომ გაგვახარა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინიციატივით გამოშვებულმა, მხატვარ დ. ბაშალეიშვილის მიერ მშდ კომპლექსის თემაზე შესრულებულმა პლაკატმა (უნდა აღინიშნოს, რომ მშდ კომპლექსისადმი მიძღვნილი პლაკატები დღემდე არ გვქონდა). მხატვარმა თავისი ნამუშევრები (ოთხი პლაკატი) მიუძღვნა მშდ კომპლექსის სამ საფეხურს, რომლებიც მოსწავლეთათვის არის განკუთვნილი.

და ბოლოს, ერთი სურვილი: სპორტული პლაკატების გამოცემა ეპიზოდური მოვლენა არ უნდა იყოს. დროა, ქართული მხატვრობა მხარში ამოუდგეს სპორტს და ფეხდაფეხ მიჰყვეს თანამედროვე ფიზკულტურულ მოძრაობას.

თ. ბაჩეჩილაძე.

# ორივე ახალგაზრდები ვიყავით

## ფეხბურთი

ნუთუ იგი ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან ერთად შემოვიდა და ქალაქის მკვიდრთაგან პირველი ფეხბურთელები ჩემი თანატოლები იყვნენ? არა, ასე არ ყოფილა. ამას მარტო იმიტომ როდი ვამბობ, რომ „შევარდენის“ წევრები წელიწადში ორ-სამჯერ თავიანთს საჩვენებელ გამოსვლებზე ასე ოც წუთს ბურთსაც აგორავებდნენ და ამ მშვენიერი თამაშის რაღაც საცოდავ იმიტაციას გვიჩვენებდნენ. არა, ქუთაისში ნამდვილი ფეხბურთელებიც იყვნენ, მაგალითად, ვ. ლეჟავა, კ. ჟანიო, ს. იმნაძე, ძმები ნ. და ვ. ამბოკაძეები, ნ. სანოვი, ლ. ხოტივარი, შ. მდივანი, ა. ჟორჟოლიანი, ბ. ყიფიანი, ბ. და პ. კანდელაკები, დ. ბადრიძე, ბ. და ს. არუცევები. ფეხბურთელთა გუნდები იყო ვაჟთა ორივე გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებელში. ისინი აწყობდნენ შეხვედრებს ერთმანეთთან, ფოთელებთან, ზუგდიდელებთან. მაგრამ 1918—1919 წლებში ეს ფეხბურთელები დაიფანტნენ, უფრო სწორად, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისს მიაშურეს სწავლის გასაგრძელებლად. ზოგიერთი მათგანი შემდეგში ცნობილი ფეხბურთელი დადგა (ძმები ამბოკაძეები, ლ. ხოტივარი, ს. იმნაძე, ნ. სანოვი, ს. არუცევი) და ა. ჟორდანიასთან ერთად თამაშობდა ქალაქის საუკეთესო საკლუბო გუნდში, რომელსაც ხან „გოსუნტი“ ერქვა, ხან ქართული „დურუჯი“, ხან სხვა. ამბოკაძეები, ლ. ხოტივარი და ს. იმნაძე თბილისისა და საქართველოს ნაკრებშიც კი შეიყვანეს. როგორც ხედავთ, ქუთაისში იმთავითვე იყვნენ კარგი ფეხბურთელები.

მაგრამ მოხდა ისე, რომ მათი წასვლის შემდეგ ქალაქში ნამდვილი ფეხბურთი ჩაკვდა და ჩემს თანატოლებს ყამირზე დასჭირდათ ყველაფრის დაწყება.

ახლა რა გვიჭირს. საკმარისია თამაში მოისურვო, რომ შენს განკარგულებაშია მინდორი, მწვრთნელი, ბურთები. სისტემატურად გამეცადინებენ დადგენილი პროგრამით, შეჯიბრებებს გიწყობენ, ზაფხულობით სპეციალურ ბანაკშიც გგზავნიან (ხშირად ასეც ხდება). რაც მთავარია, თამაშს განმარტოებული კი არ სწავლობ, უყურებ, როგორ თამაშობენ უფროსები, შენიანებიცა და ჩამოსულებიც. ეს კიდევ რა არის, შენს განკარგულებაშია სპეციალური ლიტერატურა, ტელევიზორი, კინო, შეგიძლია ნახო საუკეთესო საბჭოთა და უცხოური გუნდების თამაში. ჩვენ? ჩვენ თვალ აუხელელი კნუტებივით ვიყავით, სიარულს რომ სწავლობენ და ყველაფერს ცხვირით ეხლებიან. ჩვენ ვიყავით ველურები დაუსახლებელ კუნძულზე და დამოუკიდებლად ვქმნიდით საფეხბურთო ცივილიზაციას.

თუმცა, შეიძლება მთლად ასე არც იყო, რადგან ქალაქში არსებობდა ჩამოსულთა ორი გუნდი. მაგრამ მათი თამაში იმ დონეზე იდგა, როცა მთავარი იყო ბურთი დაერტყათ! ჩვენ მათზე მარჯვედ ვიმორჩილებდით ბურთს (პატარა ბიჭები ვიყავით) და, როგორც კი წამოვიზარდეთ, ვაჯობეთ კიდეც მათ. ერთი სიტყვით, თუ ტულიანკინს, სემიონოვსა და იაცენკოს არ ჩავთვლით, ჩამოსულების ფეხბურთს ქალაქში კარგი ფეხბურთელები არ ჰყავდა. ასე რომ, მასწავლებელიც არავინ იყო და ამ გუნდებს ჩვენთვის მნიშვნელობა ჰქონდათ უფრო ორგანიზაციული თვალსაზრისით. საშუალება გვეძლეოდა მათი ბურთით გვეთამაშა მინდორზე, სადაც კარები იდგა.

ჩვენთვის ესეც რაღაცას ნიშნავდა. თავიდან ხომ ჩვენი ფეხბურთი არავის სჭირდებოდა, ჩვენით არავინ დაინტერესებულა, არავინ დაგვხმარებია. ვიყავით ჩიტივით თავისუფალნი და თავი ისე გაგვქონდა, როგორც ვახერხებდით.

ბურთი მთელი პრობლემა იყო. თავდაპირველად მთელ ქალაქში სამი ცალი თუ იქნებოდა და ამ ბურთებსაც სული ძლივს ედგა. საფარს ჩვენ თვითონ ვკერავდით ორპირის ქუჩაზე სარაჯებისგან ფსონით ნაყიდი მოქნილი ტყავისგან. უფრო ცუდად იყო კამერების საქმე — კუსტარული, ტყვიასავით მძიმე, ავტოკამერებისგან დამზადებული, ოქროს ფასი ღირდა.

რაც შეეხება ბუცებს, 1923 წლამდე ქუთაისში ერთადერთი წყვილი იყო. ეს თეთრი ბუცები, რომელიც შურა ჩარექოვს ჩამოუტანეს თბილისიდან, ქალაქის ერთგვარ ღირსშესანიშნაობად იქცა. შურას საოცრად მოსწონდა თავი და ბუცებს მუდამ რძით წმენდდა. მალე მდგომარეობა ცოტა გამოსწორდა. ზოგიერთ ჩვენგანს ხარაზობა ემარჯვებოდა. ისინი თავისთვისაც იკერავდნენ ბუცებს და ამხანაგებსაც არ სწყვეტდნენ გულს, ვისაც კი ტყავის საყიდელი ფული ჰქონდა. მაგრამ უმეტესობა ფეხით გამოდიოდა სათამაშოდ, რასაც ღმერთი მისცემდა. ზოგიერთი ფეხშიშველიც თამაშობდა. თავდაპირველად ბურთს უმეტესად სკოლის ეზოში ვთამაშობდით, შესვენებებზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი გუნდებიც სასკოლო ნიშნის მიხედვით იყო ჩამოყალიბებული.

პირველ ტექნიკუმში შეიქმნა „ტრიუმფი“, მეორეში — „ბაში-აჩუკი“, რომელსაც შემდეგ „მერცხალი“ დაერქვა, მესამეში — მე-3 ტექნიკუმის გუნდი. არ გაგიკვირდეთ, რომ ფეხბურთელთა გუნდებთან დაკავშირებით მხოლოდ ტექნიკუმებს ვიხსენიებთ. უბრალოდ, იმ წლების სასკოლო რეფორმის მიხედვით, ქალაქში ყველა საშუალო სასწავლებლიდან უფროსი კლასების (მე-4 კლასს ზევით) მოსწავლეები რამდენიმე ხნით შეკრიბეს და ასე ჩამოაყალიბეს ეს „ტექნიკუმები“.

რასაკვირველია, სკოლის ეზოებში თამაშს არ ვჯერდებოდით. ხშირად გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სასაფლაოზე მივდიოდით სათამაშოდ. ეს დიდი ხნის მიტოვებული სასაფლაო ციცაბო გორაკზე იყო, სადღაც ივანოვის ქუჩის რაიონში, და ისედაც ერთი ბეწო, პირდაპირ გამომწყვდეული ჩანდა გარს შემოჯარულ სახლებში.

აი, აქ, სიგრძით დაახლოებით 50 და სიგანით 30 მეტრამდე „მოედანზე“ ერთი გუნდი გორაზე თამაშობდა, მეორე გორის ძირში. ეს კიდევ არაფერი. უარესი ის იყო, რომ საფლავის ქვები მუხლის თამამად გაშლის საშუალებას არ გვაძლევდა დროდადრო კი ყოველივე ამას მეზობლების მტვრევის ხმაც ემატებოდა და მაშინ იძულებული ვიყავით გაქცევით გვეშველა თავისთვის.

ქალაქში მინდვრები სულ არ იყო, მით უმეტეს, შეჯიბრებისთვის გამოსადეგი მინდვრები. მანამდე, ჩვენამდე, შეხვედრებს ხანდახან მესხეთის ქუჩაზე, ბაზრის მოედანზე აწყობდნენ (ახლა იქ ბაღია). ჩვენი ქალაქის საფეხბურთო ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კი 1923 წლამდე მეფის დროიდან შემორჩენილი ყაზარმების პლაცზე ხდებოდა. მისი მინდორი, მართალია ქვიანი იყო და ალაგ-ალაგ ძირკვებიანიც, მაგრამ მაინც ზომების მიხედვით უფრო უახლოვდებოდა ნორმალურს. რაც მთავარია, ქალაქში მხოლოდ აქ იდგა ფეხბურთის ძელები. 1923 წლის ზაფხულისთვის კი ახალგაზრდობამ ფეხბურთისთვის გამოიყენა საბოსტნე მინდორი რუბანის ქუჩაზე და ჩვენმა წვრთნამ თუ შეჯიბრებებმაც იქ გადაინაცვლა.

სწორედ ამ დროს სწორედ იმ ბიჭებმა, რომლებმაც ჩამოაყალიბეს „ტრიუმფი“, „მერცხალი“ და მე-3 ტექნიკუმის გუნდი, სათავე დაუდეს მუდმივ საფეხბურთო ცხოვრებას ქუთაისში. ამიტომ, ვფიქრობთ, ისინი უნდა დავასახელოთ.

„ტრიუმფში“ თამაშობდნენ: გ. შხვაცაბაია, რომელსაც გულშემატკივრებმა „წითელი ფესი“ უწოდეს, რადგან თამაშის დროს ფესი მართლაც მუდამ წითლად ბრიალებდა მის თავზე, რ. ბაგმანიანი, ი. გოგიაშვილი, პ. კილაძე, კ. ბადრიძე, გ. ჯაფარიძე, ს. ალიბეგაშვილი, ა. ბოგატელო, ს. ახობაძე, მ. გუგუნავა, ა. ავალიშვილი, ი. მესარკიშვილი, რ. სულაბერიძე.

„მერცხალში“ გამოდიოდნენ: გ. კილაძე, ვ. გოგოძე, ვ. მარგველაშვილი, შ. კილაძე, ჩ. მარგველაშვილი, გ. ცინცაძე, გ. გვილავა, ს. ქავთარაძე.

მე-3 ტექნიკუმის გუნდში შედიოდნენ: ე. პოლშინი, ა. ჩარექოვი, ძმები ნ. და ვ. მდივნები, ლ. ბაგმანიანი, დ. ხოჯაევი, ა. სტეპანიანი, ნ. დაცკო.

ქალაქის ნაკრებში მუდამ ან ეპიზოდურად შეჰყავდათ: გ. შხვაცაბაია, ლ. და რ. ბაგმანიანები, ი. გოგიაშვილი, პ. კილაძე, კ. ბადრიძე, გ. ჯაფარიძე, გ. კილაძე, ბ. გოგოლაძე, გ. მარგველაშვილი, ა. ჩარექოვი, დ. და ვ. მდივნები.

### ფანჯარა „ევროპაში“

1922 წლის დეკემბერში ქუთაისში ჩამოვიდა საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „გოსუნტი“. მოეწყო არსებითად პირველი საქალაქთაშორისო მატჩი, რომლითაც დამთავრდა ქალაქის საფეხბურთო იზოლირება. ჯერ თუნდაც ამიტომ, ეს მატჩი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მისი ფეხბურთის ისტორიაში. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სხვა გარემოება: ქუთაისში ჩამოვიდნენ ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც ჩვენ თანაბარ მეტოქეობას ვერ გავუწევდით და ამიტომ ვერც კმაყოფილი დავრჩებოდით ჩვენი თამაშით. რა თანაბარი მეტოქეობა — ჩვენ ოსტატობით მოსამზადებელი კლასის მოწაფეები ვიყავით, გოსუნტელები კი უკვე სერიოზულად ფიქრობდნენ სიმწიფის ატესტატზე. ფიზიკურად 15-16 წლის მოზარდები უნდა შევჯიბრებოდით უფროს, როგორც იტყვიან გაფურჩქვნის ხანაში მყოფ სპორტსმენებს; ფსიქოლოგიურად — დარცხვენილი დაუსწრებელი თაყვანისმცემლები ჩვენს კერპებს. წარმატების ყოველგვარი იმედი გადაწურული გვქონდა. მით უფრო დიდი იყო „გოსუნტის“ ჩამოსვლის, კარგი ფეხბურთელების, კარგი ფეხბურთის ნახვის პროპაგანდისტული მნიშვნელობა.

გოსუნტელებმა თითქოს გამოაფხიზლეს ქუთაისის ფეხბურთი. მათი ჩამოსვლის შემდეგ ქუთაისში ფეხბურთელთა გუნდებიცა და თვითონ ფეხბურთელებიც საგრძნობლად მომრავლდნენ. გარდა ამისა, უკვე აღარ გვაკმაყოფილებდა მანამდე წესად მიღებული სიბრძნე: „ურტყი და ირბინე“.

შეხვედრა დღის 2 საათზე მოეწყო. უგემური დღე იყო. წვიმის შემდეგ მინდორზე გუბეები იდგა. დეკემბრის სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ერთი სიტყვით, ამინდი აშკარად ხელს გვიშლიდა. შეხვედრის წინ ვვარჯიშობდით და თან ცალი თვალით გოსუნტელებს ვუყურებდით. შორიდან მათ ყველას ვიცნობდით, ახლა კი ჩვენს თვალწინ იდგნენ და ვარჩევდით, ვინ ვინ იყო. აი, თურმე როგორები ყოფილან ჟენია ფრუიძე, ნიკო და ვახტანგ ამბოკაძეები, ლელიკო ხოტივარი, სიომა იმნაძე, გიგულია მახათაძე... მაგრამ ყველაზე მეტად ანდრო ჟორდანიას ვაკვირდებოდით. პირველი შთაბეჭდილებით მან აშკარად გაგვიცრუა იმედი. ჩვენ გვეგონა, რომ ვნახავდით, ასე ვთქვათ, გრენადერს, იგი კი ჩვეულებრივი ტანმორჩილი კაცი აღმოჩნდა; ველოდით ყუმბარისებურ დარტყმებს, ის კი ზანტად ათამაშებდა ბურთს ფეხის წვერით. ასე თამაში ხომ ჩვენც შეგვეძლო. ამიტომ უკვე ვიფიქრეთ, რომ, როგორც ქუხს, ისე არ წვიმს. მაგრამ თამაში დაიწყო თუ არა, ყველაფერი მყისვე თავის ადგილზე დადგა.

ახლა ძნელიცაა და არც საჭიროა მთელი თამაშის მსვლელობის გახსენება. გოსუნტელები ცხრანი იყვნენ და ალბათ ამიტომ მხოლოდ მინიმალური უპირატესობით მოიგეს. მაგრამ განა ანგარიშია მთავარი?!

მეხსიერებამ განსაკუთრებით ნათლად შემოინახა პირველი, ბავშვური შთაბეჭდილებები. ამიტომ ის მატჩიც გუშინდელივით მახსოვს. ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრი ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთელი მინახავს — ყველაზე სწრაფებიც, — ყველაზე ვირტუოზულებიც; მე მინდორზე მინახავს თვით პელე — სრულყოფილი ფეხბურთელის ნიმუში. მიუხედავად ამისა, მასშტაბების — იმ ძველი, გულუბრყვილო სიჭაბუკისთვის დამახასიათებელი და დღევანდელი მკაცრი მასშტაბების რაღაცნაირი არევის ძალით, მე დღემდე ელვის უსწრაფესად მეჩვენება ვ. ამბოკაძის მაშინდელი ბიძგები, ხოლო ანდროს თამაში სრულყოფილების გვირგვინი მგონია. რა გასაკვირია, ჩვენ ხომ მასთან უმწეონი ვიყავით, მაშინაც, როცა ჰავბეკად თამაშობდა, და მაშინაც, როცა ფორვარდის როლში გამოდიოდა. მისმა თამაშმა გაგვაოცა, გაგვაოგნა, მით უმეტეს, რომ ამ ფეხბურთელის უდიდესი ტალანტი მუდამ ბრწყინვალედ უხამებდა ერთმანეთს ბურთის უნაკლოდ ფლობის უნარს, განსაცვიფრებელ აზროვნებას და უჩვეულო სანახაობრივ მიმზიდველობას. ახლა ხომ წარმოიდგენთ, როგორი გვეჩვენებოდა მისი თამაში ჩვენ, მით უმეტეს, რომ [illegible] ლის გამადიდებელი ლუპით ვუყურებდით. ყოველი [illegible] მგვრიდა, ყოველი მისი მოძრაობა ადამიანის შესაძლებლობის ზღვარად, რაღაც მიუწვდომლად და აბსოლუტურად. ჩვენი შთაბეჭდილება დააგვირგვინა პირველად ნანახმა „მაკრატელა“ დარტყმამ და შენობის მეორე სართულზე მძლავრად დარტყმული ბურთით ჩალეწილი ფანჯრების წკრიალმა...

დიდხანს დავრჩით ამ თამაშის შთაბეჭდილებათა ტყვეობაში. ვმსჯელობდით წვრილმანებზე. დარტყმის ადგილიდან ჩამტვრეულ მინებამდე მანძილსაც კი ვზომავდით. რაც მთავარია, ვცდილობდით ნანახი ჩვენც გაგვემეორებინა, „მაკრატელა“ კი ქუთაისში სამუდამოდ მოინათლა „ჟორდანიას დარტყმად“.

ვ. მდივანი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ლელო“ № 256, 257, 259.

## ო. ბლოხინი — წლის საუკეთესო ფეხბურთელი

ყოველკვირეულ დამატება „ფუტბოლ-ჰოკეის“ ტრადიციად აქვს ყოველი წლის დასასრულს ჟურნალისტთა შორის ჩატარებული გამოკითხვით გამოავლინოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი. წარსულ წლებში ჟურნალისტთა ამ რეფერენდუმის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელებად ორ-ორჯერ მიჩნეულ იყვნენ მოსკოვის „ტორპედოს“ მოთამაშეები ვ. ვორონინი და ე. სტრელცოვი, თითოჯერ — კიეველები ა. ბიბა, ვ. მუნტიანი, ე. რუდაკოვი, ო. ბლოხინი, აგრეთვე, მოსკოვის არმიელი ა. შესტერნიოვი და მოსკოვის სპარტაკელი ე. ლოვჩევი.

წლეულს სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად კვლავ მიჩნეულია კიევის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების თავდამსხმელი, სპორტის ოსტატი ო. ბლოხინი, რომელსაც 67 ჟურნალისტმა (98-დან) მისცა პირველი ხმა, 17-მა მეორე და ერთმა — მესამე. სულ ბლოხინმა მიიღო 236 ქულა.

II ადგილზე გავიდა კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი ვ. ვერემეევი (62 ქულა), III — მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე ა. პროხოროვი (60 ქულა).

ამ 3 ლაურეატის გარდა ჟურნალისტებმა საუკეთესოთა შორის დაასახელეს ე. ლოვჩევი, ს. ოლშანსკი, ვ. ნიკონოვი, ვ. პავლენკო, ვ. ონიშჩენკო, ა. ანდრეასიანი, ვ. სტარუხინი, ვ. მაკაროვი, ვ. ფიოდოროვი, ე. მარქაროვი, ლ. ბურიაკი, მ. მაჩაიძე, ვ. ხაძიპანაგისი, მ. ბულგაკოვი, ვ. მუნტიანი, გ. ევრიუჟიხინი, ვ. კოლოტოვი, ვ. ფედოტოვი, მ. ხურცილავა, ა. ილინ. კინი, მ. ლაზარიანი, ნ. ოსიანინი, ე. კოზინკევიჩი, ვ. ლეშჩუკი, ს. მოროზოვი, ვ. კუზნეცოვი, ვ. პილგუი.

## თასი — ბათუმელებს

დამთავრდა სტუდენტ ფეხბურთელთა რესპუბლიკური თასის გათამაშება. საინტერესო ბრძოლების შემდეგ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდებმა. ეს მატჩი 28 დეკემბერს შედგა ნეიტრალურ მინდორზე — ლანჩხუთში.

ბათუმელებმა კარგად ჩაატარეს გადამწყვეტი შეხვედრა, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 და დაეუფლნენ საპატიო თასს.

## ახალი წიგნები

## საახალწლო საჩუქარი

ჩვენი რესპუბლიკის ბადმინტონისტები მუდამ წუხდნენ, რომ სპორტის ამ ლამაზი და მიმზიდველი სახეობის წარმომადგენლებს ქართულ ენაზე არავითარი სახელმძღვანელო არ მოეპოვებოდათ. და აი, წიგნის მაღაზიებში გამოჩნდა პირველი მერცხალი — „ბადმინტონის ანბანი“. წიგნის ავტორები ა. გალიცკი და ო. მარკოვი მოგვითხრობენ ბადმინტონის ისტორიის, საბჭოთა ქვეყანაში მისი განვითარების შესახებ. წიგნში ვეცნობით ფრთიანი ბურთით შეჯიბრების წესებს, თამაშის კანონებსა და ტაქტიკას. ავტორებს არც ბადმინტონის ინვენტარის გაკეთების სწავლება დავიწყებიათ.

წიგნში კიდევ ბევრი საინტერესო ცნობაა, რაც ბადმინტონის მოყვარულთ დააინტერესებს. „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული ეს სახელმძღვანელო უდავოდ კარგი საახალწლო საჩუქარია ქართველი სპორტის მოყვარულებისთვის, „ბადმინტონის ანბანი“ დიდ დახმარებას გაუწევს სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ ახალგაზრდობას.

წიგნის თარგმანი ბადმინტონის დიდ თაყვანისმცემელს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს, ინჟინერ გ. ამირხანაშვილს ეკუთვნის (რედაქტორია ე. მაისურაძე, მხატვარი — რ. მახარაძე).

ა. ჯუჯიშვილი.




## საგულისხმო წარმატება

იყო დრო, მოჭადრაკე ქალები გაურბოდნენ ვაჟებთან თამაშს. უფრო სწორად, ვაჟები ქალებს სერიოზულ მეტოქეებად არ მიიჩნევდნენ. ახლა აღარავის უკვირს ვაჟთა ტურნირში ქალის მონაწილეობა და საპრიზო ადგილზე გასვლაც კი. ეს ყველაფერი ნონა გაფრინდაშვილის დამსახურებაა. ჭადრაკის დედოფლის მიერ გაკვალულ გზას ამჟამად ბევრი მოჭადრაკე ქალი მიჰყვება. მათ შორის არის 13 წლის მაია ჩიბურდანიძეც.

„ლელოს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ მაიამ თბილისის ჭადრაკის სასახლის ვაჟთა IV ჩემპიონატში გაიმარჯვა და თასი მოიპოვა. ეს საგულისხმო წარმატებაა. გაგაცნობთ შეჯიბრების საბოლოო შედეგებს:

I მ. ჩიბურდანიძე — 10,5 ქულა, II. თ. ლომაია — 9,5, III. ა. ბოკუჩავა — 9,5, IV. ვ. ჩხეიძე — 7,5, V. დ. გედევანიშვილი — 7, VI. ვ. ვეფხვიშვილი — 6,5, VII. რ. კაპანაძე — 6, VIII. კ. კაბაჯიანი — 4,5, IX-X. მ. ვირსალაძე, ვ. წულუკიძე — 4-4, XI. თ. გვარჯალაძე — 3,5, XII. გ. ბონდარენკო — 3, XIII. ა. მდინარაძე — 2,5.

მოჭადრაკე გოგონამ ყველაზე მეტი — 10 შეხვედრა მოიგო, დაამარცხა ოსტატები ლომაია და ბოკუჩავა. ეს მრავლისმეტყველი ფაქტია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩიბურდანიძემ მებრძოლის შესაშური თვისებები გამოავლინა: ლიდერობისთვის სპორტულ დუელში იგი მტკიცედ, საკუთარ ძალაში დაჯერებული პარტიას პარტიაზე იგებდა.

ამ წარმატებით ნიჭიერმა გოგონამ ოფიციალურად მოიპოვა საქართველოს ვაჟთა 1975 წლის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება (ამ ტურნირში უწინ ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია მონაწილეობდნენ, მაგრამ მათ პერსონალურად იწვევდნენ).

სასახლის თასისთვის თამაში მაიასთვის საუცხოო წვრთნა იყო სსრ კავშირის მოჭადრაკე გოგონათა ჩემპიონატის წინ. ეს ტურნირი 2 იანვარს დაიწყება ვილნიუსში. მაიასთან ერთად დღეს ვილნიუსს მიემგზავრებიან მისი კოლეგებიც — ოსტატობის კანდიდატები ნ. იოსელიანი, ნ. გურიელი, ქ. მელაშვილი, ჭაბუკთა ჩემპიონატის მონაწილენი გ. ხაილენკო და გ. გრძელიშვილი.

თ. ნინოშვილი.

# თბილისის „დინამომ" ლიდერიც დაამარცხა

დასასრული

მოიგეს, მეორეში კი, ფაქტიურად, ბოლო მომენტში გაუშვეს ხელიდან გამარჯვება.

ახლა მესამე, საბოლოო დარტყმის დღეც დადგა, რომლის შემდეგაც, ვფიქრობთ, შეწყდება ახალი მიზეზების ძებნა. „დინამომ" ლენინგრადში დაამარცხა ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი, აღიარებული ფავორიტი ანგარიშით 66:63 (34:29). დაამარცხა იგი საკალათბურთო ხელოვნების ყველა პუნქტში ისე, რომ შედეგი ერთხელაც არ ყოფილა საეჭვო. „სპარტაკი", რომელიც შეხვედრას 12 ქულითაც კი აგებდა, მთელი მატჩის მანძილზე მდევრის როლში იყო და ისე დაამთავრა ბრძოლა, რომ ერთხელაც არ გასულა წინ.

მახსოვს, მოსკოვის „დინამოს" წლევანდელი სიძლიერე პირველად მაშინ აღიარეს, როცა მან ლენინგრადში დაამარცხა „სპარტაკი". მას შემდეგ მოსკოველი კალათბურთელები სავსებით სამართლიანად ითვლებიან ფავორიტებად, რაც სხვათა შორის, ნათლად ჩანს მათი სატურნირო მდგომარეობიდანაც. თუ ლენინგრადელებთან გამარჯვება სიძლიერის უტყუარი საზომია, მაშინ თბილისის „დინამომაც" მიიღო ეს საბუთი.

ეს ყველაფერი სკეპტიკოსებთან დაუსწრებელი პოლემიკის სახით.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა თვით მატჩზე. „დინამომ" მართლაც გმირული ბრძოლა მოიგო „კალევთან" გულდასაწყვეტი წაგების შემდეგ. გუნდი ქებას იმსახურებს ყოველმხრივ — მაღალი ოსტატობისთვის, თავგანწირვისთვის, ბრძოლისუნარიანობისთვის, და, რაც მთავარია საერთო, კოლექტიური სულისკვეთებისთვის. ამ წარმატებაში ყველამ თანაბარი წვლილი შეიტანა, მაგრამ თუ კი ვინმეს გამოყოფაა აუცილებელი, ეს პირველ ყოვლისა მიხეილ ქორქიაა, რომელმაც საერთო აღიარებით, იმ დღეს თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

თბილისის „დინამოს" ტალინსა და ლენინგრადში გამგზავრების წინ 2 ქულის მოპოვება ჰქონდა დაგეგმილი. გეგმა დინამოელებმა უკვე შეასრულეს პირნათლად, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, ლენინგრადელებთან გამარჯვებას კიდევ სხვა ფასიც აქვს. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ მატჩში საძირკველი ჩაეყარა თბილისის „დინამოს" ახალ სასახელო ტრადიციას...

ნ. გუგუშვილი.

## ორივეჯერ „სტროიტელმა"

კიევი, 29 დეკემბერი. ადგილობრივმა „სტროიტელმა" მეორე მატჩი ვილნიუსის „სტატიბას" მოუგო ანგარიშით 80:64 (40:23). პირველ შეხვედრაშიც ქულა მასპინძლებმა აიღეს — 73 66 (42:26).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 19 | 16 | 3 | 1586—1329 | 16 |
| „დინამო" (თბ.) | 15 | 13 | 2 | 1307—1214 | 13 |
| ცსკა | 16 | 12 | 4 | 1465—1301 | 12 |
| „დინ." (მ.) | 14 | 10 | 4 | 1198—1062 | 10 |
| „ჟალგირ." | 14 | 8 | 6 | 1161—1155 | 8 |
| „კალევი" | 14 | 6 | 8 | 1129—1121 | 6 |
| „სტროიტ." | 16 | 6 | 10 | 1285—1329 | 6 |
| რტი | 16 | 3 | 13 | 1253—1422 | 3 |
| „სტატიბა" | 16 | 2 | 14 | 1203—1412 | 2 |
| „ურალ." | 14 | 1 | 13 | 1110—1352 | 1 |

# პირველი დამარცხება და პირველი გამარჯვება



ბოლო დეკადის მატჩებს დუბლიორთა სატურნირო ცხრილში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. პირველი დამარცხება განიცადა ცსკა-მ მოსკოვის დინამოელებთან შეხვედრაში, მაგრამ არმიელებს ქულების ისეთი მარაგი აქვთ, რომ ამ შედეგს მათ სატურნირო მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია.

პირველი ქულა აიღო ვილნიუსის „სტატიბამ", თანაც დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი", გუნდი რომელიც რეალურად იბრძვის ერთ-ერთი საპრიზო ადგილისთვის.

გამოიკეთა მდგომარეობა და სატურნირო ცხრილში ორი საფეხურით მაღლა აიწია რტი-მ. ეს მან მოახერხა კიევის „სტროიტელთან" გამარჯვების შემდეგ.

თბილისის „დინამოს" დუბლიორებმა ორივე მატჩი წააგეს ტალინში. ისინი ახლა VII ადგილზე იმყოფებიან.

გთავაზობთ ბოლო დეკადის შეხვედრათა შედეგებს: რტი — „სტროიტელი" 87:73 და 82:79, „ჟალგირისი" — „სპარტაკი" 70:81 და 93:85, „დინამო" (მ.) — ცსკა 86:80 და 78:89, „სტატიბა" — „სპარტაკი" 72:86 და 97:91, — „სტროიტელი" — ცსკა 58:100 და 84:95, „კალევი" — „დინამო" (თბილისი) 100:69 და 72:55.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 16 | 15 | 1 | 1484—1119 | 15 |
| „ჟალგირ." | 14 | 11 | 3 | 1265—1096 | 11 |
| „დინ." (მ.) | 14 | 10 | 4 | 1316—1101 | 10 |
| „სპარტაკი" | 18 | 10 | 8 | 1502—1447 | 10 |
| „კალევი" | 14 | 8 | 6 | 1188—1083 | 8 |
| რტი | 16 | 7 | 9 | 1294—1371 | 7 |
| „დ." (თბ.) | 14 | 6 | 8 | 1088—1211 | 6 |
| „სტროიტ." | 14 | 5 | 9 | 1147—1230 | 5 |
| „ურალ." | 14 | 1 | 13 | 1014—1430 | 1 |
| „სტატიბა" | 14 | 1 | 13 | 1082—1292 | 1 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის შედეგები: „სტროიტელი" — „სტატიბა" და „სპარტაკი" — „დინამო" (თბილისი).



# გორსტკოვი აბსოლუტური ჩემპიონია

გუშინწინ მოსკოვის ძველ ცირკში კრივის მოყვარულთა ნამდვილი ზეიმი იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გაიმართა მოსკოველ და ლენინგრადელ მოკრივეთა ტრადიციული შეჯიბრება, მეორეც იმიტომ, რომ შედგა სსრ კავშირის აბსოლუტური პირველობის ფინალი კრივში.

მოსკოველ და ლენინგრადელ მოკრივეთა შეხვედრაში მინიმალური უპირატესობით (17:16) გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

აბსოლუტური პირველობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ორსკელი ე. გორსტკოვი (91 კგ) და მაგადანელი დ. ვისოცკი (94 კგ). პირველი რაუნდი ვისოცკის უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ მას წარბი გაუსკდა. ექიმის ნებართვით მან ბრძოლა განაგრძო. მეორე რაუნდში უფრო აქტიური გორსტკოვი იყო. მესამე რაუნდს უნდა დაესახელებინა გამარჯვებული, მაგრამ ვისოცკის წარბზე ჭრილობა კიდევ უფრო უარესად გაეხსნა და ბრძოლა შეწყდა. გამარჯვება გორსტკოვს მიეკუთვნა.

ნ. კოროლიოვის, ვ. მიხაილოვისა და ე. ოგურენკოვის შემდეგ გორსტკოვი მეოთხე მოკრივეა სსრ კავშირის კრივის ისტორიაში, რომელმაც ეს მაღალი წოდება მოიხვეჭა.

• • •

სურათზე: ე. გორსტკოვი.

# დაკრეფილი „ედელვაისები"

ყაზახეთში, ჩიმბულაკის მთის ფერდობებზე დამთავრდა საკავშირო მრავალტურიანი ჩემპიონატის I ტურის შეჯიბრებები სამთო-სათხილამურო სპორტში „ვერცხლის ედელვაისის" პრიზზე. ბოლო სახეობა სპეციალური სლალომი იყო.

ვაჟთა შორის ტრასა ორი ცდის ჯამში ყველაზე სწრაფად გაიარა ნ. სნეჟიროვმა (ლენინგრადის ოლქის „შრომითი რეზერვები") — 1.26,3. II ადგილზეა ვ. ანდრეევი (კემეროვოს „ტრუდი") — 1.27,3, III — ვ. სინეტოვი (კამჩატკის პეტროპავლოვსკის „სპარტაკი") — 1.27,7.

სამჭიდში პირველობა დარჩა მ. ჰუსაინოვს (ალმა-ათის ასკ) — 231,984 საჯარიმო ქულა. II ადგილზე გავიდა სინეტოვი — 232,290, III — ვ. ბორისოვი (მონჩეგორსკი) — 233,043.

ქალთა შორის სპეციალურ სლალომში ასპარეზობა მოიგო ნ. მულიუკოვამ (მოსკოვის „სპარტაკი") — 1.26,0. ა. ასკაროვა (კემეროვოს „ბურევესტნიკი") მას 0,5 წამით ჩამორჩა. III ადგილი ერგო ი. საუკონენს (ლენინგრადის „ლოკომოტივი") — 1.30,4.

სამჭიდშიც მულიუკოვამ იმარჯვა — 216,8. II ადგილი დაიკავა ნ. ტურკოვსკაიამ — 219,73, III — ნ. პერჩატკინამ (ორივე — ბელორეცკის „სპარტაკი") — 220,13.

გუნდურ ჩათვლაში იმარჯვა „სპარტაკმა", რომელმაც 389 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა „ბურევესტნიკი" — 306, III — „დინამო" — 232.

ფიშერ-კარპოვის მატჩის ირგვლივ

# ამერიკელი დიდოსტატი თამაშს აპირებს

დღეს ჭადრაკში მსოფლიო პირველობით დაინტერესებულ გულშემატკივრებს აღელვებთ მხოლოდ ერთი კითხვა: შედგება თუ არა ფიშერ—კარპოვის მატჩი? ეს ორთაბრძოლა 1975 წლის 1 ივნისს უნდა დაიწყოს, 17 თებერვლამდე კი ფიდე-მ მატჩის მასპინძელი ქვეყანა უნდა შეარჩიოს.

15.19 დეკემბერს მალაიზიის საკურორტო ქალაქ პენანგაში სწორედ ამ საკითხების გასარკვევად გაიმართა ფიდე-ს ბიუროს სხდომა.

სხდომაზე მძაფრი დისკუსია გაჩაღდა. აშშ ს ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენელი ე. ედმონდსონი და ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი ფ. კამპომანესი (ფილიპინები) მოითხოვდნენ საერთაშორისო ფედერაციის მიერ დამტკიცებული მატჩის დებულების შეცვლას ფიშერის სურვილის მიხედვით. თავიანთს წინადადებას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ ჯიუტი ფიშერი თავის სიტყვას მაინც არ გადათქვამსო (ამერიკელი დიდოსტატი მოითხოვს, რომ თამაში გაგრძელდეს 10 მოგებამდე პარტიების რაოდენობის განუსაზღვრელად; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ანგარიში 9:9 იქნა, ჩემპიონს ტიტული დარჩეს).

ედმონდსონმა მოითხოვა, რომ მისი წინადადების გამო მოეწყოს ეროვნული ფედერაციების კენჭისყრა წერილობითი დაკითხვით. ეს ფიდე-ს წესდების დარღვევაა. კამპომანესმა წამოაყენა წინადადება, ფიშერი და კარპოვი ერთმანეთს მოსალაპარაკებლად შევახვედროთო. მაგრამ მან იქვე აღიარა, რომ ამ შეხვედრაზე ლაპარაკი იქნება მხოლოდ დათმობებზე კარპოვის მხრიდან.

ბიუროს წევრებმა ფიდე-ს ნიცის კონგრესის გადაწყვეტილება (მატჩის თამაში 10 მოგებამდე, ოღონდ ისე, რომ 36 პარტიაზე მეტი არ გათამაშდეს) მტკიცედ დაიცვეს, ხოლო სხვა წინადადებები ერთხმად (კენჭისყრით) უარყვეს. გაიმარჯვა სამართლიანობამ.

ყველა გააოცა ფიდე-ს პრეზიდენტ მ. ეივეს სიტყვებმა სხდომის შემდეგ: „ახლა საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციას შესანიშნავი შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ მსოფლიო გააოცოს ასეთი განცხადებით: ფიშერო, თქვენ მართალი არა ხართ. უპატიოსნობაა მეტოქეს მოსთხოვოთ იმაზე უარეს პირობებში თამაში, ვიდრე ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის დროს თავად გქონდათ. და მაინც, ჩვენ ნამდვილ სპორტულ თვისებებს გამოვიჩენთ და ამ მატჩს ვითამაშებთ თქვენი პირობების დაცვით, რათა დაგიმტკიცოთ, რომ გვსურს იგი შედგეს..." რა თქმა უნდა, უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ ეივეს მსოფლიო ჩემპიონისთვის მოეთხოვა მატჩის თამაში ფიდე-ს მიერ მიღებული წესებით.

ბოლოდროინდელი ცნობებით, ფიშერი შესამჩნევად გააქტიურდა. როგორც ჩანს, იგი აპირებს მატჩის თამაშს.

ამერიკის ჟურნალი „ნიუსუიკი" წერს: „... სპეციალისტებს შორის ყველაზე გავრცელებული აზრი ის არის, რომ ბობი კარგად აწონ-დაწონის მატჩის ორგანიზატორი ქვეყნების წინადადებებს საპრიზო ფონდის შესახებ, კიდევ ცოტა ხანს „ითამაშებს" ფიდე-ს ხელმძღვანელების და კარპოვის ნერვებზე, ხოლო შემდეგ, სულ ბოლო მომენტში გამოვა თავშესაფრიდან, რათა ბრძოლას შეუდგეს". ეს შეხედულება სავსებით სწორი უნდა იყოს. ფიშერს სურს დიდი ფული მოიგოს. მან განაცხადა, მუჰამედ ალიზე მეტი უნდა მივიღოო. საპრიზო ფონდის ხუთი მერვედი გამარჯვებულს ეძლევა, სამი მერვედი — დამარცხებულს. რაც უფრო დიდი იქნება ეს ფონდი, ცხადია, გამარჯვებულს მით უფრო მეტი შეხვდება.

ფიდე-ს ბიურომ ამსტერდამში მიიღო ცნობა, რომ ფიშერი იაპონიის საჭადრაკო ფედერაციასთან მოლაპარაკებას აწარმოებს მატჩის გამართვის თაობაზე. ეს იმას მოწმობს, რომ ფიშერს სურს თამაში და მისი უარი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე სერიოზული ნაბიჯი არ იყო.

იაპონელები მზად არიან საპრიზო ფონდად 2 მილიონი დოლარი გამოყონ. ფიშერს მეტს ჰპირდება ზაირი — 5 მილიონ დოლარს. ფილიპინები, სადაც ქვეყნის პრეზიდენტი ჭადრაკის დიდი ტრფიალია, უფრო მეტს იძლევა, მაგრამ ივნისში, ესე იგი მატჩის დროს, ამ ქვეყანაში ძალზე ცუდი კლიმატური პირობებია.

მატჩის მასპინძლობის უფლებას მექსიკაც ეზოულობს. მან საპრიზო ფონდად ჯერ 1 მილიონი დოლარი დააწესა, მერე კი ამ თანხას 300 ათასი დოლარი დაუმატა. იტალიელები მილიონის გაღებას აპირებენ. ისინი ამბობენ, თუ ფიშერი და კარპოვი ჩვენს წინადადებას მიიღებენ, მატჩს მილანში გავმართავთო.

აუქციონი მასპინძლობაზე გრძელდება.

თ. გიორგაძე.

# „ავტომატური" მსოფლიო რეკორდები

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ-ი) გადაწყვეტილებით, ამიერიდან ავტომატური ჟამმზომების მიერ ნაჩვენები შედეგები ოფიციალურ მსოფლიო რეკორდებად აღირიცხება. როგორც ცნობილია, ავტომატური წამმზომები მუშაობას სასტარტო პისტოლეტის გასროლისთანავე იწყებენ და მონაწილის მიერ დისტანციის დამთავრებისთანავე აღნუსხავენ ზუსტ დროს წამის მეასედებში.

იააფ-მა პირველ „ავტომატურ" მსოფლიო რეკორდებად დაამტკიცა შემდეგი მაჩვენებლები. ვაჟები. რბენა, 100 მ. ჰაინსი (აშშ) — 9,95; 200 მ. ქუორი (იამაიკა) — 19,81; 400 მ. ევანსი (აშშ) — 43,86; თარჯრბენი. 110 მ. მილბერნი (აშშ) — 13,24, 400 მ. აკიი ბუა (უგანდა) — 47,82; ესტაფეტა 4×100 მ. აშშ-ს ნაკრები — 38,19.

ქალები. რბენა. 100 მ. ტიიუსი (აშშ) — 11,07, შტეჰერი (გდრ) — 11,07; 200 მ. შევინსკა (პოლონეთი) — 22,21; 400 მ. ზალინი (ფინეთი) — 50,14; 3000 მ. ბრაგინა (სსრ კავშირი) — 8.52,8; 100 მ. თარჯრბენი. ერჰარდტი (გდრ) — 12,59; 400 მ. კასპერჩიკი (პოლონეთი) — 56,51; ესტაფეტა 4×100 მ. გდრ-ის ნაკრები — 42,51.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03503